TMCT

TRAININGS & MANAGEMENT CONSULTING TEAM

Development
Through
Education

TMCT

TRAININGS & MANAGEMENT CONSULTING TEAM

TMCT
ტრენინგების და მართვის საკონსულტაციო გუნდი

Development Through Education

შინაარსი:

1. საავტორო კურსი „შრომის სამართლის სტანდარტები და სასამართლო პრაქტიკა“

   - თემის აქტუალურობა
   - კურსის მიზანი
   - კურსის სამიზნე აუდიტორია
   - კურსის შედეგები
   - კურსის ექსპერტები
   - კურსის პროგრამა
   - სწავლების მეთოდი
   - კურსის ხანგრძლივობა და გრაფიკი
   - კურსის საფასური
   - კურსის განხორციელების ადგილი
   - რეგისტრაციის ვადები

2. TMCT – ტრენინგების და მართვის საკონსულტაციო გუნდი

   - ჩვენს შესახებ
   - ჩვენ გთავაზობთ
   - ჩვენი გამოცდილება

TRAININGS & MANAGEMENT CONSULTING TEAM

1. საავტორო კურსი „შრომის სამართლის სტანდარტები და სასამართლო პრაქტიკა“

15 დეკემბრიდან TMCT გთავაზობთ ორ ეტაპიან საავტორო კურსს **„შრომის სამართლის სტანდარტები და სასამართლო პრაქტიკა“.**

თემის აქტუალურობა - საქართველოს შრომის კოდექსში ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებები პრაქტიკული თვალსაზრისით, მრავალ მნიშვნელოვან სიახლეს შეიცავს. ახალი რეგულაციები, მათ შორის დასაქმებულთა მონაცემების დაცვა განაცხადების დამუშავების პროცესში, ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორიცაა: შრომითი ხელშეკრულებების შედგენა და შინაარსი, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, ზეგანაკვეთური სამუშაო, შვებულების მოთხოვნის უფლება, ხელშეკრულების ვადის განსაზღვრა, შრომითი ხელშეკრულებების დასრულება ხელშეკრულების შეწყვეტის გზით და გაფიცვის უფლება. ახალი შრომის კოდექსით საქართველო უახლოვდება შრომის სამართლის იმ სტანდარტებს, რომლებიც მოქმედებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში სწორად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დანერგვის პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება დამსაქმებლის და დასაქმებულის ინფორმირებულობას და სწორი რეკომენდაციების გაცემას.

კურსის მიზანია მონაწილეთა კვალიფიკაციის ამაღლება შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების სწორად დაგეგმვა/წარმართვაში როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორში.

კურსი განკუთვნილია:

- საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის;
- უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის;
- ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის.

კურსის დასასრულს:

- მონაწილეებს ექნებათ დეტალური ინფორმაცია შრომის საერთაშორისო სტანდარტების შესახებ;
- მონაწილეებს შეეძლებათ სწორად განმარტონ და გამოიყენონ შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ადგილობრივი შრომის კანონმდებლობის ძირითადი ნორმები;
- მონაწილეებს ექნებათ დეტალური ინფორმაცია შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებით ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკის შესახებ.

კურსის ექსპერტები არიან:

ქეთევან მესხიშვილი - მოსამართლე; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

თამარ ხაჟომია - მოსამართლე; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

ზაქარია შველიძე - ადვოკატი; შრომის სამართლის ექსპერტი; თსუ-ს მოწვეული ლექტორი

TMCT
TRAININGS & MANAGEMENT CONSULTING TEAM

კურსი ორ ეტაპიანია და მოიცავს შემდეგ აქტუალურ საკითხებს:

- საერთაშორისო შრომითი სტანდარტები და ასოცირების შეთანხება
- სამუშაო დრო
- შრომის უსაფრთხოება
- შრომითი ხელშეკრულება
- დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობებში
- გაფიცვის უფლება
- შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები
- შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის პროცესი
- შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები
- შრომითი უფლებები და პერსონალური ინფორმაცია
- შრომითი ურთიერთობა საჯარო სამსახურში
- შრომითი უფლებები საჯარო სამსახურში
- მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება
- აქტუალური სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა შრომით-სამართლებრივ დავებთან დაკავშირებით

მონაწილეებს სასწავლო კურსის მასალები მიეწოდებათ ელექტრონული ფორმით.

სწავლების მეთოდი - კურსი ორიენტირებულია პრაქტიკულ სწავლებაზე. გამოყენებული იქნება ზრდასრულთა სწავლების თანამედროვე მეთოდები!

კურსის ხანგრძლივობა და გრაფიკი:

- კურსი მოიცავს 20 საათს (16 სესიას). სწავლება ხორციელდება არასამუშაო დღეებში 11:00 საათიდან 17:00 საათამდე
- I ეტაპი - 15-16 დეკემბერი, 2018 წ. (შაბათი-კვირა)
- II ეტაპი - 26-27 იანვარი, 2019 წ. (შაბათი-კვირა)

სასწავლო კურსის დეტალური პროგრამა მონაწილეს გადაეგზავნება სწავლის დაწყების წინ.

კურსის დასრულების შემდგომ მონაწილეებს გადაეცემათ TMCT-ის სერტიფიკატი.

კურსის საფასური - კურსზე მონაწილეობის საფასური შეადგენს 490 ლარს.
კურსის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი; ი. აბაშიძის ქუჩა N34.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, შეავსოთ ონლაინ აპლიკაციის ფორმა შემდეგ ბმულზე:
https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSdSdxf0tHUiY6mLsZlaR1cwHifgSGB--N6tiIZCSG4RhqXOGg/viewform

TRAININGS & MANAGEMENT CONSULTING TEAM

რეგისტრაციის ბოლო ვადაა **11 დეკემბერი, 2018 წ.**

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ:
დაგვირეკოთ: (+995 577) 111 401; (+995 599) 686 901;
ან მოგვწეროთ: companytmct@gmail.com
https://www.facebook.com/TMCT

კურსის დროს მონაწილეებს ელოდებათ მყუდრო, კომფორტული და რაც მთავარია - მეგობრული გარემო.

კურსის მონაწილეებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა, აიმაღლონ კვალიფიკაცია და შრომის სამართლის თემასთან დაკავშირებით მათთვის საინტერესო საკითხებზე მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია მოქმედი მოსამართლეებისგან და დარგის პრაქტიკოსი ექსპერტებისგან.

2. TMCT – ტრენინგების და მართვის საკონსულტაციო გუნდი

ჩვენს შესახებ

TMCT შექმნილია მრავალწლიანი გამოცდილების მქონე, მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული გუნდის მიერ. ჩვენ გვაქვს, როგორც მართლმსაჯულების სფეროში, ასევე მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა პროფესიული განათლების მიმართულებით მუშაობის მდიდარი გამოცდილება. გამოვირჩევით მართვის პოლიტიკის მაღალი სტანდარტით, წარმატებული პროექტების შექმნითა და დანერგვით, პიარისა და მარკეტინგის გამოცდილი ექსპერტებით.

ჩვენ გთავაზობთ

1. სამართლებრივ საკითხებზე და პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ პრაქტიკულ სწავლებას, რომელსაც გაუძღვებიან ცნობილი ქართველი და უცხოელი ექსპერტები;
2. კონსულტირებასა და მხარდაჭერას ორგანიზაციული განვითარების ყველა ძირითადი მიმართულებით;
3. საქმიანი ღონისძიების დაგეგმვას და განხორციელებას.

TRAININGS & MANAGEMENT CONSULTING TEAM

ჩვენი სერვისებია:

I. ტრენინგები და სასწავლო კურსები

- აქტუალურ და პრობლემატურ სამართლებრივ საკითხებზე პრაქტიკული სწავლება (ევროპულ სასამართლო პრაქტიკასთან და ადამიანის უფლებათა პრეცედენტულ სამართალთან მჭიდრო კავშირში);
- პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სწავლება (პრაქტიკული ფსიქოლოგია, სტრესის მართვა, ლიდერობა, მენეჯმენტი, ზრდასრულთა სწავლება, სოციალური მედია, მედიასთან ურთიერთობა და სხვა).

II. ორგანიზაციული განვითარება

- ორგანიზაციის სტრუქტურული, პროცედურული, საკომუნიკაციო და მარკეტინგული საჭიროებების სიღრმისეული ანალიზი (მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, სტრუქტურის, თანამშრომელთა ფუნქციური აღწერილობის, სამუშაო პრაქტიკის შესწავლა, ანალიზი);
- ორგანიზაციის წინაშე მდგარი გამოწვევების, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება;
- ორგანიზაციის გამოწვევების გადაჭრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;
- ორგანიზაციის განვითარების ჩარჩო დოკუმენტის (სტრატეგიის, მოკლე და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის ე.წ სახელმძღვანელო დოკუმენტის) შემუშავება;
- სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის ქოუჩინგი/მენტორინგი.

III. ღონისძიებების მენეჯმენტი

- საქმიანი შეხვედრებისთვის პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება;
- კონფერენციების, სიმპოზიუმების, სასწავლო შემეცნებითი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- საპროტოკოლო ცერემონიების უზრუნველყოფა;
- უცხოეთის დელეგაციების მომსახურება: სტუმართა დახვედრა, გაცილება; გადაადგილება; ოფიციალური ვახშმის ან მიღების ორგანიზება;
- ღონისძიებების სრული მედია მხარდაჭერა.

ჩვენი გამოცდილება

TMCT-ის გუნდის წევრებს გააჩნიათ საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება როგორც კერძო, ასევე საჯარო და არასამთავრობო სექტორში. ჩვენს სახელს უკავშირდება მრავალი წარმატებული პროექტი, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციების ინსტიტუციონალურ გაძლიერებასთან. გუნდის მთავარი მახასიათებელია განათლებაზე და გამოცდილებაზე დამყარებული პროფესიონალიზმი, რაც გარანტირებულად უზრუნველყოფს მომსახურების მაღალ ხარისხს და ჩვენი მომხმარებლის კმაყოფილებას.

გუნს გააჩნია ხანგრძლივი და ეფექტიანი თანამშრომლობის გამოცდილება, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძოდ:

- ევროპის საბჭო (CoE)
- ევროკავშირი (EU)
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)
- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
- გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)
- გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)
- გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR)
- გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR)
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO)
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)
- ფონდი - ღია საზოგადოება საქართველო (OSGF)
- აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი (DoJ)
- ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამა (CLDP)

TRAININGS & MANAGEMENT CONSULTING TEAM

UN
DP

International
Labour
Organization

UNHCR
The UN Refugee Agency

IOM • OIM

DEPARTMENT OF JUSTICE
QUI PRO DOMINA JUSTITIA SEQUITUR

UN
WOMEN
United Nations Entity for Gender Equality
and the Empowerment of Women

unicef

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION

CLDP
COMMERCIAL LAW DEVELOPMENT PROGRAM

TMCT
TRAININGS & MANAGEMENT CONSULTING
TEAM